

გთხოვთ დეტალურად გაეცნოთ წესებს და პირობებს, რომელიც არეგულირებს მომხმარებელის მიერ პროდუქტის შექმნა/გამოყენებას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის *მომხმარებელი* არის ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც იყენებს ან/და მომავალში გამოიყენებს ვებ-გვერდს, ან/და სარგებლობს ჩვენი სერვისებით.

წინამდებარე ვებ-გვერდზე შესვლით თქვენ ეთანხმებით და ადასტურებთ ვებ-გვერდის გამოყენების წინამდებარე წესებსა და პირობებს. ასევე, ადასტურებთ რომ იცნობთ და ეთანხმებით იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებიც შესაძლოა პერიოდულად შევიდეს აღნიშნულ წესებსა და პირობებში.

1. ჩვენგან ყიდულობთ თამაშს/სერვისს და არა ექაუნთს, ყველა ექაუნთზე გვაქვს წვდომა და კონტროლი, შესაბამისად ვიღებთ მასზე პასუხისმგებლობას, ექაუნთი რჩება ჩვენს მფლობელობაში, მომხმარებელს არ შეუძლია არანაირი ცვლილების განხორციელება ექაუნთის „სეთინგში“, ჩვენი ექაუნთი მომხმარებელმა უნდა დაამატოს მხოლოდ ჩვენს მიერ გაცემული ინსტრუქციით და არ მოხდეს არანაირი ცვლილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობაშ თამაშის/სერვისის მუშაობაზე;
2. პროდუქტის ფასი მოცემულია ერთ კონსოლზე, დაუშვებელია სხვა კონსოლზე გაზიარება, ჩვენი პროდუქტი უკვე გაზიარებულია ჩვენს მიერ წესების დაცვით და სრული კონტროლით, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ პროდუქტით უპრობლემოდ;
3. თამაშის/სერვისის მეორე კონსოლზე გადასატანად აუცილებლად უნდა დაგვიკავშირდეთ, ჩვენი ინსტრუქციით წაშლით ჩვენს ექაუნთს პირველი კონსოლიდან, აუცილებელია ვიდეოგადაღება, შემდეგ მიიღებთ ახალ ინსტრუქციებს მეორე კონსოლში პროდუქტის გადასატანად. ნებისმიერი სხვა გზა დაუშვებელია და ვერ მოხდება პროდუქტის გადატანა მეორე კონსოლზე;
4. თამაში/სერვისი შესაძლებელია გაითიშოს დროებით, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით, როგორებიც არის playstation network-ის გათიშვა, სერვერის გათიშვა, და ა.შ. ასევე სონიმ შესაძლოა პერიოდულად მოითხოვოს ექაუნთში მონაცემების თავიდან შეყვანა, რომლის დროსაც აუცილებელია ჩვენთან დაკავშირება;
5. მომხმარებლის მიერ ხარვეზის დაფიქსირების შემდეგ გამოსწორება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 7 დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელს აქვს უფლება მოითხოვოს თანხის დაბრუნება იმ მომენტში მოცემული პროდუქტის ფასის ოდენობით, რომელიც განთავსებული იქნება ჩვენს საიტზე(წესი არ ეხება სონის მხრიდან სერვისის გათიშვას);
6. „error codes“ შესაძლოა გამოწვეული იყოს პროდუქტის მწარმოებლის ხარვეზებით, რომელსაც თავად ასწორებს სხვადასხვა განახლებებით, ასევე

მიზეზი შეიძლება იყოს კონსოლის გაუმართაობა და ა.შ. „error codes-ის“ გამოძვევევი მიზეზები ჩვენგან დამოუკიდებელია შესაბამისად არ ვართ მასზე პასუხისმგებელი, ასევე ონლაინთან დაკავშირებული ხარვეზები გამოწვეულია სერვერის გაუმართაობის, ან ინტერნეტ პროვაიდერის მიზეზებით, რაზეც პასუხისმგებლები არ ვართ.

7. მომხმარებელმა თამაშის ჩართვის შემდეგ შიდა რეგისტრაცია უნდა გაიაროს საკუთარი მეილით და მონაცემებით(მაგ: FIFA-ს ჩართვის შემდეგ EA ექაუნთზე რეგისტრაცია უნდა გაიაროს საკუთარი მეილით)
8. პროდუქტის შესაძენად მომხმარებელმა უნდა ჩარიცხოს თანხა ჩვენს ანგარიშზე, შემდეგ მიიღებს ჩვენს მონაცემებს მარტივ ვიდეოინსტრუქციასთან ერთად და დაიწყებს გადმოწერას. საჭიროების შემთხვევაში დავურეკავთ და დავეხმარებით.
9. პირველი კატეგორიის პროდუქტის შეძენის შემთხვევაში, თამაშობთ თქვენი ექაუნთით და ინტერნეტთან კავშირი აუცილებელი არ არის, ჩენი ინსტრუქციით ექაუნთის დამატების შემდეგ დაშვებულია ჩვენს ექაუნთზე შესვლა. მეორე კატეგორიის პროდუქტის შეძენის შემთხვევაში, თამაშობთ ჩვენი ექაუნთით და საჭიროა მხოლოდ ინტერნეტთან კავშირი wi-fi-თ ან კაბელით.
10. Playstation plus-ის შეძენის დროს გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა საიტზე განთავსებულ დროზე არაუმეტეს 3 კვირის ნაკლები ვადა ქონდეს სტატუსს. პირველი კატეგორიის შეძენის შემთხვევაში თამაშობთ მხოლოდ ონლაინში თქვენი ექაუნთით.
მეორე კატეგორიის შეძენის შემთხვევაში თამაშობთ ონლაინში ჩვენი ექაუნთით, ასევე ყოველ თვე იწერთ სონის მიერ განსაზღვრულ რამოდენიმე თამაშს უფასოდ;
11. თამაშის/პროდუქტის სხვისთვის მიყიდვა დაუშვებელია, ექაუნთი არის ჩვენს მფლობელობაში, მომხმარებელს შეუძლია დაგვიბრუნოს თამაში და მიიღოს პროდუქტის მიმდინარე ფასის მესამედის ოდენობის ჩვენი მაღაზიის ვაუჩერი (ეს მოქმედებს მხოლოდ ps4-ზე, ps5-ზე შეძენილი თამაშების დაბრუნება არ ხდება). (თუ პროდუქტი აღარ დევს საიტზე, ვაუჩერი გაიცემა იმის მიხედვით თუ რა ფასად იყიდებოდა ბოლოს საიტზე, ეს ინფორმაცია მხოლოდ ჩვენ გვაქვს) წესი არ ეხება სპორტულ თამაშებს და ps plus-ს), ps plus-ის დაბრუნება არ ხდება, სპორტულ თამაშებზე ვიტოვებთ უფლებას კონკრეტულ მომენტში გადავწყვიტოთ, თუ რა ოდენობის ვაუჩერის სანაცვლოდ დავიბრუნოთ ან საერთოდ არ დავიბრუნოთ;
12. მომხმარებლის მხრიდან პირატული თამაშებით სარგებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კონსოლში არსებული ყველა ექაუნთის დაბლოკვა, და პრობლემა შეუქმნას მათ შორის ჩვენს ოფიციალურად შეძენილ პროდუქტს, შესაბამისად

ვიხსნით პასუხისმგებლობას იმ მომხმარებლების წინაშე, რომლებიც სხვაგან ყიდულობენ პირატულ პროდუქტს.

13. ჩვენი ყველა პროდუქტი არის ჩვენს მიერ შექმნილი სონის ოფიციალურ სტორზე, არ გვაქვს შეხება პირატულ პროდუქტთან, შესაბამისად არ აქვს არანაირი ვადა და არ არსებობს დაბლოკვის საფრთხე. **პროდუქტზე პასუხისმგებლები ვიქნებით იქამდე სანამ იფუნქციონერებს ჩვენი ონლაინ მაღაზია, გვაქვს მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება, გვყავს უამრავი მომხმარებელი და სანდო პარტნიორები ფლეერუმების სახით (მაგ: play house, play time, gamer და ა.შ.), ჩვენი ადგილმდებარეობა - ნუცუბიდის 183.**
14. Playstation 4-დან Playstation 5-ზე ან პირიქით, Playstation 5-დან Playstation 4-ზე პროდუქტის გადატანხა ხდება **მხოლოდ მეორე კატეგორიის** შექმნის შემთხვევაში.

მომხმარებლის მიერ დაცული უნდა იყოს ზემოთაღნიშნული წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას თამაშის/სერვისის მუშაობაზე.